პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 204 (4198)

1970 წ. 17 ოქტომბერი, შაბათი

ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## ამრავლოს!

სასიხარულო ცნობა მოვიდა ნალჩიკიდან, სადაც ტარდებოდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. უროს მტყორცნელთა შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. ფხაკაძე. ერთ-ერთ ცდაზე მან 65,52 მეტრი აჩვენა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ამ წოდების მოპოვებაში სენსაციური თითქოს არაფერია, მაგრამ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოში დღემდე უროს ტყორცნაში ოსტატი არ გვყოლია.

ფხაკაძე ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელის გ. მაიერის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. მაიერი ერთადერთი ქალია, რომელმაც თავისი ბედი ამ ნამდვილად ვაჟკაცურ სახეობას დაუკავშირა და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია. ფხაკაძის წარმატება მისი დაუღალავი შრომის ნაყოფიცაა.

ქართველი სპორტსმენის წარმატება ნალჩიკში შემთხვევითი რომ არ იყო, ამას ფხაკაძის წლევანდელი მაჩვენებლებიც ადასტურებს. შარშან საქართველოს რეკორდი (58,70 მ) ამ სახეობაში ა. ბაგაურმა დაამყარა, ფხაკაძემ კი რესპუბლიკური მიღწევა ერთი წლის მანძილზე რამდენჯერმე გააუმჯობესა. მან ბაგაურის ძველ შედეგს თავდაპირველად 25 სმ მიუმატა. შემდეგ რეკორდმა განვითარების ასეთი გზა განვლო: 61.88; 62,35; 62,70; 63,80 და ბოლოს — 65,52.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ი. ფხაკაძე უროს სატყორცნად ემზადება.

ო. გელაშვილის ფოტო.

ნიკოპოლი, 15 ოქტომბერი. აქ გაიმართა უკრაინის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. ვაჟთა შორის შესანიშნავად იასპარეზა ევროპის ჩემპიონმა ვ. სიდორუკმა, რომელმაც სსრ კავშირის 3 ახალი რეკორდი დაამყარა. 90 მეტრიდან სროლაში სიდორუკმა 335 ქულა მოაგროვა, რაც ძველ რეკორდს 11 ქულით ჯობს. 50 მეტრიდან ასპარეზობაში მან 607 ქულა მიიღო (ძველი რეკორდი 599 იყო), ოთხი დისტანციის ჯამში 2368 ქულა დააგროვა და ძველ მიღწევას 15 ქულით გადააჭარბა.

## შ. ფიცხელაური — სსრ კავშირის ჩემპიონი

კომუნარსკი, 16 ოქტომბერი. აქ მიმდინარე სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში გამოვლინდა სსრ კავშირის ჩემპიონი მძიმე წონაში. ეს გახლავთ თბილისელი არმიელი შ. ფიცხელაური.

## დღეს გაირკვევა

ერევანი, 16 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). რეგბიში მეორე ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის ფინალური შეხვედრების მესამე ტურში შეჯიბრების ლიდერმა — კიევის „სპარტაკმა" წაიფორხილა. ეს გუნდი ვილნიუსის „რკინის მგლებს" ხვდებოდა. ვილნიუსელებმა მატჩი ოლმავლობით ჩაატარეს და ძლიერი მეტოქე დაამარცხეს — 15:6. თბილისის „დინამო" ნალჩიკის „სპარტაკს" ეთამაშა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი წინა შეხვედრებში დაშავდა, „დინამო" კარგად თამაშობდა და გაიმარჯვა — 8:0. თბილისელთაგან გუნდს კვინიხიძემ 5 ქულა შესძინა, ხოლო ვ. აბაშიძემ — 3.

მასპინძელთა „დინამოს" კოლექტივმა დაძაბულ ბრძოლაში მოუგო მოსკოვის ოლქის „ხიმკის"— 14:11.

დღეს გადამწყვეტი შეხვედრებია. ბოლო ტურის წინ თბილისის „დინამოს" 6 ქულა აქვს და ლიდერობს. მისი ბოლო მეტოქეა „ხიმკი". თუ გაიმარჯვეს, თბილისელები გაისად უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.

ქ. სარქისოვი.

## ბოლო წრის წინ

დღეს ქალაქ გლაზოვში იწყება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების IX საკავშირო ჩემპიონატის ბოლო, მეოთხე წრის თამაშები.

აი, თბილისის „ბურევესტნიკის" შეხვედრების განრიგი: 17 ოქტომბერს ქართველ ხელბურთელებს მატჩი ექნებათ კრასნოდარის „უნივერსიტეტთან", 18 ოქტომბერს — მოსკოვის „კუნცევოსთან", 19 ოქტომბერს — რიგის „სტრაუმესთან", 21 ოქტომბერს — ცსკა-სთან, 22 ოქტომბერს — ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდთან (ზმეტი), 23 ოქტომბერს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივთან, 25 ოქტომბერს — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან".

მეოთხე წრის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) | 21 | 15 | 3 | 3 | 469—407 | 33 |
| „კუნცევო" (მოსკოვი) | 21 | 13 | 3 | 5 | 381—339 | 29 |
| „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) | 21 | 13 | 2 | 6 | 419—400 | 28 |
| ზმეტი | 21 | 9 | 2 | 10 | 357—349 | 20 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 21 | 7 | 5 | 9 | 385—396 | 19 |
| „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) | 21 | 6 | 3 | 12 | 331—346 | 15 |
| „სტრაუმე" (რიგა) | 21 | 5 | 2 | 14 | 365—420 | 12 |
| ცსკა | 21 | 4 | 4 | 13 | 375—425 | 12 |

◆ პლოვდივი, 16 ოქტომბერი. აქ სტუმრად არის თბილისის უნივერსიტეტის ფრენბურთელ ქალთა გუნდი. სტუმრები შეხვდნენ პლოვდივის უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს და დამარცხდნენ — 2:3.

◆ სოფია, 16 ოქტომბერი. უნგრელმა მოჭადრაკე ქალმა ჟ. ვერეციმ აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში დაიკავა პირველი ადგილი. მან დააგროვა 7 ქულა. 0,5 ქულით ნაკლები აქვთ II-III ადგილებზე გამოსულ ნ. კონოპლიოვასა (მოსკოვი) და ბულგარელ ვ. შიშოვას.

◆ ვინკოვცი, 16 ოქტომბერი. იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში 9 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ დიდოსტატები ბ. ლარსენი (დანია) და ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 7-7 ქულა. 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს საბჭოთა დიდოსტატ მ. ტაიმანოვს.

◆ ბაქო, 16 ოქტომბერი. სასტენდო სროლის ბევრი ცნობილი სპორტსმენი მონაწილეობს აქ გამართულ დიდ შეჯიბრებაში. ცეცხლის ხაზზე გამოდიან უზბეკეთის, მოლდავეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, ლენინგრადისა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდები.

## ხუთჭიდში

ერევანი, 16 ოქტომბერი (ტელეფონით). თანამედროვე ხუთჭიდში სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის ბოლო სახეობა 4 კილომეტრზე მძლეოსნური კროსი იყო. დისტანცია ყველაზე სწრაფად (12.56,0) გაირბინა ს. შაპარნისმა (ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქი) და 1237 ქულა დაიმსახურა. მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდის ლიდერმა ვ. შმელიოვმა რბენაში შაპარნისთან 4 წამი წააგო (1222 ქულა), 1225 ქულა მიიღო და II ადგილზე გავიდა. საქართველოს „დინამოს" ხუთჭიდელთაგან საუკეთესო იყო ა. მაროტი. მისი შედეგი—14.02,0 — ხუთჭიდის სკალით 1039 ქულას იძლევა.

კროსში გუნდური ჩათვლა ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ხუთჭიდელებმა მოიგეს — 3390 ქულა. II ადგილზე გავიდა მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდი — 3318, III — „ენბეკი" (ყაზახეთი) — 3225.

როცა ხუთჭიდის საერთო შედეგები შეჯამდა, ქვეყნის ჩემპიონობა კარპატის სამხედრო ოლქის ნაკრებს მიეკუთვნა. ამ გუნდის წევრებმა (პ. ლედნიოვმა, ი. ზორევმა და ლ. ივანოვმა) 14327 ქულა მოაგროვეს. II ადგილზეა ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის ნაკრები — 14227, III — „დაუგავა"— 14109. საქართველოს გუნდმა (ა. მაროტი, ი. ქაჯაია, ა. კალინინი), რომელიც ორ დღეს ლიდერობდა, საბოლოოდ 13722 ქულა დააგროვა და V ადგილი მოიპოვა.

პირად ტურნირში უძლიერესი იყო ს. ლუკიანენკო (მოსკოვის სამხედრო ოლქი) — 5026 ქულა. კ. ოსიპოვი („ენბეკი") მას 5 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა შაპარნისი — 5002 ქულა. მაროტიმ VI ადგილი დაიკავა (4852), ქაჯაიამ XVII — (4524), კალინინმა — XXVII (4278).



ამას წინათ რუსთავში გაიმართა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დარგობრივი სპარტაკიადა. ძალოსანთა შეჯიბრებაში კარგად იასპარეზა მასპინძელთა გუნდის წევრმა ვ. ლობჟანიძემ, რომელმაც საქართველოს 3 ახალი რეკორდი დაამყარა.

ს უ რ ა თ ზ ე: ლობჟანიძე ასპარეზობისას.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

(სპარტაკიადის ანგარიში იხ. მე-2 გვ.)

● ბაქო, 15 ოქტომბერი. აქ დამთავრდა ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. გათამაშების ცხრილში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. „სპარტაკი" (კიევი), 2. „სპარტაკი" (ბაქო), 3. „ლუჩი" (მოსკოვი), 4. დსკ-3 (კიევი), 5. „ჟალგირისი" (კაუნასი), 6. „კალინინეცი" (სვერდლოვსკი), 7. „ტექნოლოგი" (მინსკი), 8. „ბურევესტნიკი" (კიევი).

● სტოკჰოლმი, 15 ოქტომბერი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდი დამარცხდა შვეციის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 1:2. მართალია, ანგარიში საბჭოთა ფეხბურთელებმა გახსნეს (ავრუცკი), მაგრამ შემდეგ ნურდინმა ჯერ საპასუხო გოლი გაიტანა, ხოლო თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

● კიევი, 15 ოქტომბერი. პარაშუტისტთა XVI საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც დოსააფის საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში შედის, გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. 1000 მეტრიდან ჯგუფურ ხტომაში გაიმარჯვა ლატვიის გუნდმა (ვ. ლევჩენკო, ნ. სკრიპკინი, ი. სკვორცოვი და ე. დროზდოვი). ქალთა შორის იმარჯვეს მოსკოველებმა (თ. კოსოვსკაია, ი. ტკაჩენკო, ნ. სერგეევა).

● ვინკოვცი, 15 ოქტომბერი. მოჭადრაკეთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში 8 ტურის შემდეგ 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს იუგოსლაველ გლიგორიჩს. 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს ჰორტმა და ლარსენმა.

● ვარშავა, 15 ოქტომბერი. ცნობილი პოლონელი სპორტსმენის ზ. რანიშევსკის ხსოვნას მიეძღვნა საერთაშორისო შეჯიბრება მოტორბოლში, რომელშიც სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვა თბილისელმა ვ. გორდეევმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# „ფოლადი“ ყველაზე მტკიცეა

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირების VIII დარგობრივი სპარტაკიადა.

ასპარეზობის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ძალოსნობა, ხელბურთი, ფრენბურთი, თავისუფალი და ქართული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ველოსპორტი, ტყვიის სროლა და ჭადრაკი (ფარიკაობაში შეჯიბრება ზესტაფონში გაიმართება).

I ჯგუფში მონაწილეობდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ფიზკულტურული კოლექტივები.

II ჯგუფში — საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი ინსტიტუტის („საქგიპრომეზი“), კვაისის მადანსამმართველოსა და ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ფიზკულტურელები.

მძლეოსანთა ასპარეზობაში გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა „ფოლადს“, რომლის წევრებმა თითქმის ყველა სახეობაში გაიმარჯვეს (ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნის გარდა). სამწუხაროდ, ტექნიკური შედეგები დაბალი იყო.

სპორტის მოყვარულნი მოუთმენლად ელოდნენ რუსთავის ფიცარნაგზე სპორტის საპატიო ოსტატის, რუსთაველ ვ. ლობჟანიძის (მსუბუქი წონა) გამოსვლას. მან აწევა 122,5 კგ-ით დაიწყო, მეორე ცდაზე მოითხოვა 128 კგ. მის მიერ თელავში, გ. ჩიქვაიძის თასის გათამაშებაში დამყარებულ საქართველოს რეკორდზე მიიტანა იერიში და წარმატებასაც მიაღწია. შემდეგ 132,5 კგ-ის დაძლევა სცადა, მაგრამ თავს ზევით წონის ფიქსირება ვერ შეძლო. ლობჟანიძემ ატაცი 112,5 კგ-ით დაიწყო, შემდეგ იერიში მიიტანა დ. შანიძის საქართველოს რეკორდზე და 118 კგ მოითხოვა. წონა დაძლია. დამატებით ცდაზე 120 კგ-ს შეუტია, მაგრამ უშედეგოდ. აკვრაში პირველ ცდაზე 147,5 კგ აჩვენა, შემდეგ 157,5 კგ დაძლევა სცადა (საკუთარი რეკორდის გაუმჯობესება სურდა), მაგრამ ამაოდ. სამჭიდის ჯამში ლობჟანიძემ 392,5 კგ (127,5 + 117,5 + 147,5) მოაგროვა და დ. შანიძის რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა.

დანარჩენ წონებში დაბალი შედეგებით გაიმარჯვეს: მჩატე წონაში — თ. კობიაშვილმა („ფოლადი“) — 200 კგ. ქვემსუბუქ წონაში — გ. კასრელიშვილმა („ფოლადი“) — 260 კგ. ქვესაშუალო წონაში — ჰ. ლომიძემ (ჭიათურა) — 325 კგ, საშუალო წონაში — ა. ხარბაშმა („ფოლადი“) — 327,5 კგ. ქვემძიმე წონაში — კ. ბაზაძემ (ზესტაფონი) — 340 კგ. უმჩატეს და ზემძიმე წონებში მონაწილე არ ყოფილა. გუნდური პირველი ადგილი „ფოლადს“ ხვდა.

ხელბურთელ ქალთა ტურნირში მხოლოდ „ფოლადისა“ და ზესტაფონის გუნდები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვეს რუსთაველმა სპორტსმენებმა — 21:5. ვაჟთა გუნდების ასპარეზობა ძლიერად ჩაატარა „ფოლადმა“, რომელმაც დაამარცხა კვაისის (29:12), ჭიათურისა (22:8) და ზესტაფონის კოლექტივები (30:20).

ფრენბურთში „ფოლადის“ ქალთა გუნდმა მოუგო (2:1) ზესტაფონის კოლექტივს. ვაჟებში „ფოლადის“ სპორტსმენებმა ყველა მოწინააღმდეგე მშრალი ანგარიშით (2:0) დაამარცხეს.

კალათბურთელ ქალთა შორის იმარჯვეს ჭიათურელებმა — დაამარცხეს „ფოლადის“ (50:35) და ზესტაფონის გუნდები (28:6). სამაგიეროდ ვაჟებში „ფოლადმა“ მოუგო ზესტაფონის (62:27) და ჭიათურის (40:19) გუნდებს. II ჯგუფის გუნდებში „საქგიპრომეზმა“ სძლია კვაისის გუნდს — 33:23.

თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. კუპატაძე (ჭიათურა), ა. მენაბდიშვილი („ფოლადი“), ნ. გახოკია („ფოლადი“), ს. ლოლაძე, ტ. ლეჟავა, ბ. მანჯავიძე (სამივე — ზესტაფონი), ო. ბერიშვილი, თ. მერმანიშვილი (ორივე — „ფოლადი“), ო. მემარნიშვილი (ზესტაფონი), ა. პაპუაშვილი („ფოლადი“). გუნდური პირველი ადგილი „ფოლადს“ დარჩა.

„ფოლადის“ სპორტსმენებმა იმარჯვეს ქართულ ჭიდაობაშიც. თავიანთ წონებში პირველები იყვნენ: ტ. ვარდოსანიძე, ა. ჯოხაძე, (ორივე — ზესტაფონი), რ. მჭედლიძე, თ. ავლოხაშვილი (ორივე — „ფოლადი“), ვ. ციცქიშვილი (ჭიათურა), ო. ბერიშვილი, ო. ახსაბაძე, ა. პაპუაშვილი (სამივე — „ფოლადი“).

მაგიდის ჩოგბურთში ჭიათურელებმა დაამარცხეს „ფოლადი“ (8:2) და ზესტაფონელები (8:1) და პირველი ადგილი დაიკავეს.

II ჯგუფის გუნდებში ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მაგიდის ჩოგბურთელებმა სძლიეს „საქგიპრომეზის“ სპორტსმენებს — 8:1.

საგზატკეცილო ველორბოლის 20 კილომეტრიან დისტანციაზე თავი ისახელეს „ფოლადის“ ველომრბოლელებმა, სპორტის ოსტატებმა ი. კრასავცევმა, ვ. კეხბამ და პირველთანრიგოსანმა ვ. ცვეტკოვმა. 50 კილომეტრზე გუნდური რბოლაც ისევ „ფოლადმა“ მოიგო.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში „ფოლადმა“ 1072 ქულა მოაგროვა, პისტოლეტით — 291 ქულა და აქაც პირველი იყო. II ჯგუფში ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს გუნდმა აჯობა „საქგიპრომეზის“ მსროლელებს.

„ფოლადის“, ჭიათურისა და ზესტაფონის მოჭადრაკეთა შეხვედრები ყაიმით დამთავრდა, მაგრამ პირველი ადგილი წილად ხვდათ „ფოლადის“ მოჭადრაკეებს, ვინაიდან მათ გუნდში პირველ დაფაზე მოთამაშე, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. ბიბილაშვილმა ორივე შეხვედრა მოიგო. II ჯგუფში „საქგიპრომეზის“ გუნდმა ჯერ დაამარცხა კვაისის გუნდი — 4:0, ხოლო შემდეგ ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მოჭადრაკეები — 3,5:0,5 და პირველი ადგილი დაიკავა.

ფარიკაობის შედეგების მიუხედავად, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირების VIII დარგობრივი სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მერვედ მოიპოვა „ფოლადის“ კოლექტივმა (16 საჯარიმო ქულა). II ადგილზე გავიდნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სპორტსმენები (32 საჯარიმო ქულა), III — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ფიზკულტურელები (42 ქულა).

**რ. ბაბრიძე.**
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

**სურათებზე:** სპარტაკიადის მომენტები.

ავტორის ფოტოები.





# საჭიროა სათანადო პირობების შექმნაც

მოსწავლეთა XXII რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მეორე ჯგუფის მოჭადრაკეთა გუნდებს შორის დაკავებული III საპრიზო ადგილი უთუოდ წარმატებაა წალენჯიხის სპორტსკოლის (დირექტორი გ. გოგუა) მოჭადრაკეებისთვის. წარმატებას მიაღწიეს ნორჩმა ფეხბურთელებმაც, რომელთაც ზონაში II ადგილი დაიკავეს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ველომრბოლელებსა და მძლეოსნებზე. წალენჯიხის სპორტსკოლის ველოსიპედისტები სულ ორიოდე წლის წინ კარგ შედეგებს აღწევდნენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, მაგრამ შემდეგ მათ საჭირო პირობები ვერ შეუქმნეს. შარშან ველოსიპედები არ ჰქონდათ და ამიტომ ხარბიელზე ვერ გამოვიდნენ. წლეულს როგორც იქნა ველოსიპედები შეიძინეს, მაგრამ დაგვიანებით. რესპუბლიკურ სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო საკმარისი არ აღმოჩნდა გუნდის სათანადოდ მომზადებისთვის. ანალოგიური მდგომარეობა იყო და არის მძლეოსნობაშიც. სკოლას არ გააჩნია ხეირიანი სარბენი ბილიკები, სახტომი ორმოები, მძლეოსნური ინვენტარი.

ახალ სასწავლო წელს სკოლის აღმზრდელები ახალი ენერგიით შეუდგნენ. სკოლაში ინტერსიურად მუშაობენ ფეხბურთის, ჭადრაკის, ველორბოლისა და მძლეოსნობის სექციები.

სკოლის დირექციის ამოცანაა მაღალ დონეზე ჩაატარონ გამაჯანსაღებელი მუშაობა, ამას გარდა, რაიონისა და რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მისცენ კარგად მომზადებული ნორჩი სპორტსმენები, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სათანადო პირობების შექმნაც, რასაც უნდა დაუფიქრდნენ სათანადო ორგანოები.

**თ. ხალია.**

წალენჯიხა.

# სურამელთა უპირატესობით

„განთიადის“ ხაშურის ზონალური საბჭოს სპარტაკიადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო სპორტის 6 სახეობა — ფეხბურთი, ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი და კალათბურთი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა სურამის მინის ტარის ქარხნის კოლექტივი. II ადგილზე გავიდა აგარის შაქრის კომბინატის ნაკრები, III — აგარის საკონსერვო ქარხნის გუნდი.

**ზ. მოსეშვილი.**

ხაშური.

# შ ვ ი დ წ ო ნ ა შ ი

ანაგის სასოფლო კლუბში ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისადმი მიძღვნილი შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ბავშვთა სპორტსკოლის ჩემპიონის სახელს ერთმანეთს ეცილებოდა წნორის, ვაქირის, მაშნაარის, ჯუგაანისა და ადგილობრივი საშუალო სკოლების 60-მდე მოსწავლე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ვაქირელებმა (მწვრთნელი შ. ყანჩაშვილი). II ადგილზე გავიდა ანაგის გუნდი, III — წნორის მოსწავლეთა კოლექტივი.

ასპარეზობა ჩატარდა 7 წონით კატეგორიაში. პირველი ადგილები დაისაკუთრეს: ჯ. ელაშვილმა, ო. დემეტრაშვილმა, ნ. ძამიაშვილმა, ა. ბერიაშვილმა, თ. მჭედლიშვილმა, თ. აფციაურმა და ზ. ბატიაშვილმა. მალე სპორტსკოლის ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს რაიონულ სპარტაკიადაში.

**ა. ხმალაძე,**
ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

სიღნაღი.

## რამდენიმე სტრიქონით

**ზუგდიდი**

ჩატარდა ზუგდიდის მოსწავლეთა საშემოდგომო მძლეოსნური კროსი, რომელშიც 13 საშუალო და რვაწლიანი სკოლის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. უმცროსი ასაკის გოგონათა შორის 500 მეტრზე რბენაში გამარჯვება მოიპოვა ტ. მიროშნიჩენკომ (მე-10 სკოლა), 1000 მეტრზე მორბენალ ჭაბუკებში იმარჯვა ზ. ჭედიამ (მე-9 სკოლა). უფროსი ასაკის გოგონათა შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მივიდა ა. როგავა (მე-10 სკოლა), ხოლო ჭაბუკებში — მე-11 სკოლის მოსწავლე გ. ჩიხლაძე. გუნდური პირველობა მე-10 სკოლის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს.

**ა. ფიფია.**

ფეხბურთი 1970

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ჯგუფი

## ჯილდოები, გოლები, კამათები

ყუშინწინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

მოსკოველი სპარტაკელები მასპინძლობდნენ „ზარიას". სტუმრების თავდამსხმელმა ხუსაინოვმა შეხვედრის დასაწყისშივე (მე-5 წუთზე) გახსნა ანგარიში და შესვენებამდე „სპარტაკმა" ვერ შეძლო მდგომარეობის გაწონასწორება. მეორე ტაიმში ჰუსაინოვმა ორჯერ შეძლო ვოროშილოვგრადელთა კარის აღება. ორივე გოლი სულ რაღაც 4 წუთში გავიდა (54-ე და 58-ე წუთებზე). „ზარიას" კარის მეორედ აღებაში ჰუსაინოვის ერთგვარი თანაავტორია ვოროშილოვგრადელთა მცველი შულჟენკო: ამ უკანასკნელს ჰუსაინოვის მიერ კარის მიმართულებით დარტყმული ბურთი ოდნავ შეეხო და ისე შევიდა კარში. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 2:1.

როსტოვის არმიელებმა მიიღეს ტურნირის ერთ-ერთი აუტსაიდერი — „ჩერნომორეცი". პირველ ტაიმში ესკოვის მიერ გატანილმა გოლმა არმიელებს გამარჯვება მოუტანა. შესვენების შემდეგ ოდესელი პორკუიანის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი საჯარიმო მოიგერია არმიელთა მეკარემ კუდასოვმა.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 28 | 15 | 7 | 6 | 42—20 | 37 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 29 | 12 | 13 | 4 | 43—23 | 37 |
| ცსკა | 27 | 16 | 4 | 7 | 40—17 | 36 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 29 | 10 | 12 | 7 | 26—23 | 32 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 28 | 8 | 14 | 6 | 26—25 | 30 |
| „დინამო" (თბილისი) | 27 | 11 | 7 | 9 | 35—26 | 29 |
| „დინამო" (მინსკი) | 28 | 10 | 9 | 9 | 31—25 | 29 |
| „დინამო" (კიევი) | 29 | 12 | 5 | 12 | 32—29 | 29 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 28 | 10 | 9 | 9 | 29—31 | 29 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 27 | 8 | 10 | 9 | 22—19 | 26 |
| „არარატი" (ერევანი) | 27 | 9 | 8 | 10 | 25—28 | 26 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 28 | 9 | 7 | 12 | 27—36 | 25 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 28 | 9 | 7 | 12 | 30—47 | 25 |
| „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 29 | 6 | 12 | 11 | 21—42 | 24 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 29 | 7 | 9 | 13 | 23—35 | 23 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 29 | 6 | 10 | 13 | 22—34 | 22 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 28 | 6 | 7 | 15 | 27—41 | 19 |

## დიდი ანგარიშით დამარცხდა

II ჯგუფი

13 ოქტომბერს გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის გუნდების მორიგი ტური. გორის „დილა" ტულაში შეხვდა ადგილობრივ „მეტალურგს" და დიდი ანგარიშით დამარცხდა — 0:4. კალუგაში ბათუმის „დინამომ" „ლოკომოტივთან" შეხვედრა ფრედ დაამთავრა — 1:1.

ამ ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სტალი" (ვოლგოგრადი) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 1:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 0:0, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 0:0, „ვოლგა" (კალინინი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „სალიუტი" (ბელგოროდი) 3:1, „სატურნი" (რიბინსკი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 2:1, „ვოლგა" (გორკი) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:2, „დინამო" (კიროვაბადი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 3:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 0:0.

II ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 37 | 20 | 13 | 4 | 51—23 | 53 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 36 | 18 | 14 | 4 | 46—14 | 50 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 37 | 19 | 10 | 8 | 47—25 | 48 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 37 | 18 | 11 | 8 | 72—33 | 47 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 37 | 14 | 15 | 8 | 41—33 | 43 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 37 | 14 | 15 | 8 | 34—31 | 43 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 37 | 13 | 14 | 10 | 34—35 | 40 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 37 | 15 | 9 | 13 | 42—41 | 39 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 37 | 12 | 15 | 10 | 38—44 | 39 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 37 | 14 | 10 | 13 | 47—38 | 38 |
| „სალიუტი" (ბელგოროდი) | 37 | 10 | 16 | 11 | 34—35 | 36 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 35 | 12 | 11 | 12 | 30—31 | 35 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 37 | 9 | 16 | 12 | 33—45 | 34 |
| „დინამო" (ბათუმი) | 34 | 10 | 13 | 11 | 27—33 | 33 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 37 | 12 | 8 | 17 | 37—36 | 32 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 35 | 11 | 10 | 14 | 35—37 | 32 |
| „ვოლგა" (გორკი) | 34 | 9 | 13 | 12 | 35—36 | 31 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 37 | 8 | 15 | 14 | 32—37 | 31 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 37 | 10 | 11 | 16 | 39—50 | 31 |
| „დილა" (გორი) | 34 | 9 | 10 | 15 | 34—46 | 28 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 37 | 5 | 11 | 21 | 25—68 | 21 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 37 | 4 | 8 | 25 | 18—60 | 16 |

## 4 მატჩი

ფეხბურთელთა ევროპულ ჩემპიონატში გაიმართა კიდევ 4 შესარჩევი მატჩი.

**კატოვიცეში** პოლონეთის ნაკრებმა სძლია ალბანეთის გუნდს — 2:0. ორივე გოლის ავტორია პოლონელთა ცენტრალური თავდამსხმელი ლიუბანსკი. **ლუქსემბურგში** ადგილობრივი ნაკრები მასპინძლობდა იუგოსლავიის გუნდს. შეხვედრის ანგარიშია 2:0 სტუმრების სასარგებლოდ. **დუბლინში** ფრედ — 1:1 — ითამაშეს ირლანდიისა და შვეციის ნაკრებმა გუნდებმა, **კოპენჰაგენში** პორტუგალიის ფეხბურთელებმა დაამარცხეს მასპინძლები — დანიელი სპორტსმენები — 1:0. ამ ერთადერთი გოლის ავტორია კოსტა.

# პრიზები, პრიზები...

„ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისთვის წლევანდელ სეზონში 11 სხვადასხვა პრიზია დაწესებული. მათგან 9 პრიზის გათამაშებაში ჯერჯერობით ასეთი მდგომარეობაა:

**გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი.** მიეცემა გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ გოლს გაიტანს. ამჟამად ამ პრიზის პრეტენდენტები არიან მოსკოვის სპარტაკელები — 43 გოლი. ერთი ბურთით ნაკლები გაიტანეს მოსკოვის დინამოელებმა. მოგაგონებთ, რომ სპარტაკელები ამ პრიზს ფლობდნენ სამჯერ, ხოლო დინამოელები — ერთხელ.

**საუკეთესო სხვაობისთვის.** უკრაინის ჟურნალ „სტარტის" მიერ დაწესებული ამ პრიზით დაჯილდოვდება ის კლუბი, რომელსაც სეზონის დამთავრების შემდეგ გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობა ექნება. ცსკა-ს ახლა ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს: +23. შემდეგ მოდიან მოსკოვის „დინამო" (+22) და მოსკოვის „სპარტაკი" (+20).

**ყველაზე შედეგიან მოთამაშეს.** ეს ჯილდო დაწესებულია გაზეთ „ტრუდის" მიერ. ამ პრიზით დაჯილდოვდება ქვეყნის პირველობის საუკეთესო სნაიპერი. ამჟამად საუკეთესო ბომბარდირთა სიის სათავეში დგას მოსკოველი დინამოელი ვ. კოზლოვი (14 ბურთი). ერთი ბურთით ნაკლები აქვს გატანილი მის თბილისელ თანაკლუბელს გ. ნოდიას.

**ორი შემადგენლობით მოპოვებული საუკეთესო შედეგისთვის.** სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ეს პრიზი ყოველწლიურად ეძლევა გუნდს, რომელიც ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობებით ქულათა ყველაზე მეტ ჯამს დააგროვებს. 15 ოქტომბრისთვის ამ პრიზის პრეტენდენტები იყვნენ მოსკოვის „დინამო" — 77 ქულა (37+40) და მოსკოვის „სპარტაკი" — 73 (35+38).

**დუბლიორთა შორის უძლიერესს.** 15 ოქტომბრისთვის მდგომარეობა ასეთი იყო: მოსკოვის „დინამო" 2 ქულით უსწრებდა მოსკოვის „სპარტაკს".

**დიდი ანგარიშისთვის.** ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ჰოკეის" პრიზით დაჯილდოვდება გუნდი, რომელსაც ექნება ყველაზე მეტი მოგება სამი და მეტი ბურთის უპირატესობით. აქ ჯერჯერობით ლიდერობენ მოსკოვის გუნდები — „დინამო" და „სპარტაკი". დინამოელებმა დაამარცხეს „ფახთაქორი" (4:0), „ზარია" (3:0), ორჯონიკიძის „სპარტაკი" (3:0) და ქუთაისის „ტორპედო" (5:1), „სპარტაკმა" — მოსკოვის „დინამო" (4:1), „შახტიორი" (5:0), „ზენიტი" (3:0) და ორჯონიკიძის „სპარტაკი" (5:1). დიდი ანგარიშით 3 გამარჯვება აქვს ცსკა-ს.

**აგრესიული სტუმრის პრიზი.** უკრაინის ახალგაზრდული რესპუბლიკური გაზეთის „კომსომოლსკაია ზნამიას" პრიზი განკუთვნილია გუნდისთვის, რომელიც სეზონის შედეგების მიხედვით სხვის მინდვრებზე ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს. ამ შეჯიბრებაში ლიდერობენ კიევის დინამოელები და როსტოვის არმიელები. ამ გუნდებმა მეტოქეთა მინდვრებზე ჯერჯერობით 14-14 ქულა დააგროვეს. 13-13 ქულა აქვთ დაგროვილი მოსკოვის გუნდებს — „დინამოს", „სპარტაკს" და ცსკა-ს.

**გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის.** მოიგო ყველაზე მეტი შეხვედრა მაშინ, როცა მეტოქე დაწინაურებული — ასეთია ამ პრიზისთვის ბრძოლის პირობა. ჯილდო დააწესა გაზეთმა „სოვეტსკაია როსიამ". ასეთი 3 გამარჯვება აქვს როსტოვის არმიელთა გუნდს (მოსკოვის „სპარტაკთან" — 3:1, „ჩერნომორეცთან" — 2:1 და თბილისის „დინამოსთან" — 2:1). 2-2 გამარჯვება აქვთ კიეველებს, „ჩერნომორეცს" და მოსკოვის დინამოელებს.

**სამართლიანი თამაშისთვის.** გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ეს პრიზი განკუთვნილია გუნდისთვის, რომლის მოთამაშეებსაც სეზონის შედეგების მიხედვით ყველაზე ნაკლები შენიშვნა, გაფრთხილება და მინდვრიდან გაძევებით სასჯელი აქვთ მიღებული როგორც ძირითად, ისე სათადარიგო შემადგენლობაში. ამ მხრივ ამჟამად ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ მოსკოვის გუნდებს — ცსკა-ს და „დინამოს".

# უველგან ერთნაირად უნდა ზრუნავდნენ

საქართველოს 1970 წლის პირადგუნდურმა ჩემპიონატმა ბადმინტონში, რომელიც სოხუმის „სპარტაკის" დარბაზში გაიმართა, ნათლად დახატა სპორტის ამ სახეობის განვითარების არც თუ სახარბიელო სურათი ჩვენს რესპუბლიკაში.

დავიწყოთ იქიდან, რომ შეჯიბრებაზე მომზადებული გუნდები არ გამოგზავნეს აჭარისა და ქიათურის სპორტის მესვეურებმა (სულ საომოდ თვის წინ მათი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ მოზარდთა რესპუბლიკურ ჩემპიონატსა და მოსწავლეთა სპარტაკიადაში). საქართველოს მეორე სამრეწველო ქალაქმა ქუთაისმა, რომელიც ადრე ბადმინტონის დანერგვის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, ამჯერად მოავლინა არასრული და ძლივს შეკოწიწებული გუნდი, რომლის წევრებმაც ტექნიკური მოუმზადებლობის გამო უარი თქვეს პირად პირველობაში მონაწილეობაზე და ყველა გუნდური შეხვედრის წაგების შემდეგ ვადაზე ადრე დაბრუნდნენ ქუთაისში. ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა!

საბედნიეროდ, ბადმინტონის ენთუზიასტების ხარჯზე, საცა გული გულობს, სპორტის ამ სახეობის განვითარებას კარგი პირი უჩანს. ამის დამადასტურებელია სოხუმის, გორის, რუსთავის, გარდაბნისა და გლდანის სპორტსმენთა ტექნიკური ოსტატობის ზრდა.

ჩვენ აქ განსაკუთრებით გავუსვით ხაზი ენთუზიასტებს, რადგან, მიუხედავად საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებისა „რესპუბლიკაში ბადმინტონის შემდგომი განვითარების შესახებ", ზოგიერთ ფიზკულტურულ მუშაკს ბადმინტონის ხსენებაც არ უნდა, რადგან ეს სახეობა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში არ შედის. ეს მუშაკები ივიწყებენ მთავარს, რომ ბადმინტონი ადამიანის ფიზიკური გაკაჟებისთვის ისევე სასარგებლოა, როგორც სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი ნებისმიერი სხვა სახეობა.

რაც შეეხება თვით შეჯიბრებას, იგი საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა როგორც ორგანიზაციის, ისე საინტერესო და დაძაბული ბრძოლების თვალსაზრისითაც. გუნდური ასპარეზობის შედეგების მიხედვით ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: თბილისი, სოხუმი, გორი, რუსთავი, გარდაბანი, გლდანი, ქუთაისი. ამ შეიდეულში თბილისის გუნდს კონკურენტი თითქმის არ ჰყავდა, მაგრამ პირადი პირველობის დროს დედაქალაქის წარმომადგენლებს საკმაო ჯაფა დაადგათ საპრიზო ადგილების შენარჩუნებისთვის. ქალთა შორის განსაკუთრებით კარგი მომზადება გამოავლინეს ე. საჯაიამ, ტ. ნიკიტინამ (სოხუმი), ო. კიბალოვამ, გ. ჩეკუნოვამ (გარდაბანი), მ. ფულარიამ (თბილისი). ვაჟებიდან მზარდი ოსტატობა გვიჩვენეს მ. ელიშაკაშვილმა, დ. ნერსესიანმა (სოხუმი), თ. ბლიაძემ, ზ. ცერცვაძემ (გორი), კ. მხითარიანმა (რუსთავი).

ერთეულთა ფინალებში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, ერთმანეთს კვლავ შარშანდელი მოწინააღმდეგენი შეხვდნენ, თუმცა მათი ბრძოლა ამჯერად უფრო დაძაბული და შეუპოვარი იყო. ჩემპიონი ორივეგან მესამე გადამწყვეტმა პარტიამ გამოავლინა. ამ ბოლო ხანს რ. ოკინაშვილი (თბილისი) ტექნიკური სრულყოფით გაუტოლდა საქართველოს ჩემპიონს ი. კონდრატიევას (თბილისი), მაგრამ ჯერ კიდევ აკლია ის სპორტული ცეცხლი, რომლის წყალობითაც მისმა მეტოქემ ამჯერადაც შეინარჩუნა ჩემპიონობა. III ადგილზე გავიდა უთუოდ პერსპექტიული სპორტსმენი ც. ბალაშვილი (თბილისი). ვაჟთა შეჯიბრებაში შარშანდელი დამარცხებისთვის რევანში აიღო გ. ბორიაკმა (თბილისი), რომელმაც გადამწყვეტ პარტიაში ანგარიშით 18:15 მოუგო ალ. დავიდოვს (თბილისი). III ადგილზე გავიდა ლ. ქურხაშვილი (თბილისი).

ქალთა წყვილებში უძლიერესი აღმოჩნდა ოკინაშვილ-კონდრატიევას დუეტი, რომელმაც ფინალში დაამარცხა ბალაშვილი და ნიკიტინა. III ადგილზე არიან ე. საჯაია და მ. ფულარია.

ბორიაკისა და ალ. დავიდოვის ძლიერი წყვილის ტექნიკას კარგი შეთამაშება დაუპირისპირეს ბადმინტონის მომავალმა სპეციალისტებმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ქურხაშვილმა და ან. დავიდოვმა, რამაც მათ საქართველოს ჩემპიონობა მოუტანა წყვილთა თანრიგში. III ადგილზე გავიდნენ მ. ელიშაკაშვილი და დ. ნერსესიანი. შერეულ წყვილებში ი. კონდრატიევამ ალ. დავიდოვთან ერთად მორიგი გამარჯვება აზეიმა და ოკინაშვილ-ბორიაკის დამარცხებით აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა. III ადგილზე გავიდა ნიკიტინა-ქურხაშვილის წყვილი.

**გ. სამსონაძე.**



ერთი პარაშუტით საინტერესო ჯგუფური ხტომა განახორციელეს საქართველოს ლაშის სპორტის ოსტატებმა ლ. ოაიაოვმა, მ. კოსტინმა და ლ. იაჩმენოვმა. ერთ-ერთი მართავდა პარაშუტს, დანარჩენები კი ტანვარჯიშულ ილეთებს ასრულებდნენ.

22-27 ოქტომბერს იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანაში ჩვენი პლანეტის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები მორიგ მსოფლიო ჩემპიონატს ჩაატარებენ. ტანმოვარჯიშეთა ამ ფორუმს სხვადასხვა სახელი შეიძლება ვუწოდოთ: საპასუხისმგებლო შეჯიბრება, გამოცდა, ბრძოლა, პირველ ყოვლისა კი ტანვარჯიშის ასეული მილიონი მოყვარულის ზეიმი.

ვინ შეასრულებს მთავარ როლებს ლიუბლიანის ტანვარჯიშულ ალლუმში? სპორტში დრო სწრაფად გადის. ოთხი წლის წინ დორტმუნდის მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა 17 წლის ლენინგრადელ მოსწავლეს ნ. კუჩინსკაიას. მან 3 ოქროს მედალი მოიგო ცალკეულ იარაღებზე, ახლა კი უკვე აღარ გამოდის ნაკრებში. დორტმუნდის ასპარეზობის

# დიდი ტანვარჯიშული ალლუმის წინ

შემდეგ მალე მწვრთნელად დაიწყეს მუშაობა ისეთმა გამოჩენილმა ტანმოვარჯიშეებმა, როგორიც არიან ლ. ლატინინა და პ. ასტახოვა. მათგან, ვინც მსოფლიო პირველობაში ოთხი წლის წინ გამოდიოდა, მწობრში დარჩნენ მხოლოდ ლ. პეტრიკი, ზ. ვორონინა და ო. კარასიოვა. მეხიკოში ეს გოგონები კუჩინსკაიასთან, კიდევ უფრო ახალგაზრდა ლ. ბურდასთან და ლ. ტურიშჩევასთან ერთად ოლიმპიური გუნდური ჩემპიონები გახდნენ.

საბჭოთა ქალთა გუნდი ახალგაზრდულია (ლიუბლიანაში კუჩინსკაიას მაგიერ წავა 16 წლის ვიტებსკელი მოსწავლე თ. ლაზაკოვიჩი), მაგრამ საკმაოდ გამოცდილი. ჩვენს გუნდს არ ჰყავს აშკარად გამოხატული ლიდერი, როგორიც, მაგალითად, მიხეილ ვორონინია, მაგრამ შეიძლება ეს უკეთესიც იყოს. გუნდის ყველა წევრს დიდი წარმატების შანსი აქვს.

საბჭოთა ქალების მთავარი მეტოქეები არიან მსოფლიო ჩემპიონები ჩეხოსლოვაკიელები და გდრ-ის ნაკრები. ჩეხოსლოვაკიის გუნდმა დორტმუნდში სულ 0,038 ქულა მოუგო საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს. ამ გუნდშიც ცვლილებები მოხდა. მაგალითად, აღარ გამოდის 1966 წლის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. ჩასლავსკა. გუნდში მოვიდნენ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშენი. გამოცდილი ოსტატებიდან შეიძლება დავასახელოთ რესპუბლიკის ჩემპიონი მ. კრაიჩიროვა, ახალგაზრდებიდან — ნიჭიერი მ. ვახოვა.

გდრ-ის გუნდი ასეთი თანაბარი შემადგენლობისა არ არის. სამაგიეროდ, მის რიგებში გამოდის კ. იანცი. 1969 წლის ევროპულ ჩემპიონატში, ლანდსკრუნაში, იანცმა მოიგო მრავალჭიდი, პირველი იყო ხტომებში, ორძელზე და დვირზედიახ, იანცი სერიოზული მეტოქეა, მაგრამ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებიც ერთი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად დაოსტატდნენ. ო. კარასიოვამ, რომელიც ლანდსკრუნაში მეორე იყო (მოიგო თავისუფალი ვარჯიში), წლეულს ორჯერ დაამარცხა იანცი მრავალჭიდში — მინსკში და გდრ-ში გამართულ შეჯიბრებებში.

ვაჟებიდან დორტმუნდის შემდეგ ლიუბლიანის ნაკრებში ასევე 3 დარჩა — მ. ვორონინი, ს. დიომიდოვი და ვ. კარასიოვი. პირველი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონია, მეორე ორძელზე ვარჯიშში გამარჯვებული. ახალბედები არ არიან ვ. ლისიცკი, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიადაში ვერცხლის მედალი მოიგო მრავალჭიდში და ვ. კლიმენკო, რომელმაც მეხიკოს ოლიმპიურ ტურნირში მიიღო საბრძოლო ნათლობა.

იქ ბრძოლა იაპონელ ტანმოვარჯიშეთა გამარჯვებით დამთავრდა. ამ გუნდის ყველა წევრმა საბჭოთა სპორტსმენებს ცალკეულ იარაღებზე 0,08 ქულა მოუგო. ვაჟთა გუნდში მეხიკოს შემდეგ ერთი ცვლილება მოხდა: ვ. ილინიჩის მაგიერ, რომელიც სპორტულ ფორმაში ვერ არის, ნაკრებში შეყვანილია გ. ბოგდანოვი.

გულუბრყვილობა იქნებოდა დაგვემალა, რომ ჩვენი მთავარი იმედები ლიუბლიანაში ვორონინთან არის დაკავშირებული. ეს სპორტსმენი 21 წლის ასაკში უკვე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო, ხოლო 23 წლის ასაკში მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში II ადგილზე გავიდა. ახლა ვორონინმა გაართულა და განაახლა ნებისმიერი პროგრამა, რომელშიც 540 და 720-გრადუსიანი ბრუნები შეიტანა. ყველა მისი ილეთი დიდ შეჯიბრებებშია შემოწმებული. ვორონინი სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი და სსრ კავშირის თასის წლევანდელი მფლობელია.

საბრძოლო ფორმაში არიან ლისიცკი, დიომიდოვი, კლიმენკო. ვაჟთა ნაკრები ქალთა გუნდზე „უფროსია“, მაგრამ სსრ კავშირისა და იაპონიის ტანმოვარჯიშე ვაჟების ასაკი თითქმის თანაბარია. ვორონინი 25 წლისაა, დიომიდოვი — 27, ლისიცკი — 31, კლიმენკო — 21, კარასიოვი — 24, ბოგდანოვი — 22, ა. ნაკაიამა — 27, ე. კენმოტცუ — 22, მ. ცუკახარა — 22, ტ. ხაიატა — 30, ტ. კატო — 28, დ. ხონმა — 21 წლისა. ვინ არის იაპონელთა ფავორიტი? როგორც მუდამ, ეს ძნელია ითქვას. 1966 წელს დორტმუნდში ოლიმპიური ჩემპიონის ი. ენდოს ლიდერობას ვარაუდობდნენ, მაგრამ ვორონინის მთავარი მეტოქე ნაკაიამა გახდა. მეხიკოში პირველობას ნაკაიამას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გაიმარჯვა ს. კატომ. ლიუბლიანაში კატო ალბათ ტრავმის გამო ვერ იასპარეზებს.

მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრებ გუნდში ძლიერი ტანმოვარჯიშეები არიან თავმოყრილი. ტრადიციისამებრ, იაპონელების პროგრამა რთული ელემენტებითაა დატვირთული, თუმცა ეს ილეთები მუდამ წმინდად და ელეგანტურად როდი სრულდება. ბევრია იმაზე დამოკიდებული, პირველ ყოვლისა რას მიაქცევენ ყურადღებას მსაჯები. სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეებსა და იაპონიის სპორტსმენებს ცალკეულ იარაღებზე სხვა გუნდებშიც ბევრი მეტოქე ჰყავთ. ესენი არიან იუგოსლაველი მ. ცერარი, პოლონელები — ძმები კუბიცები. ასეთი სპორტსმენები არიან გდრ-ის, ფინეთის, შვეიცარიის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის და იტალიის გუნდებშიც.

ლიუბლიანის ტანვარჯიშული ალლუმის დაწყებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ვუსურვოთ ჩვენს წარგზავნილებს გამარჯვება ამ ჩემპიონატში.

ვ. დვორცოვი.

## • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGÁS •

### მოგზაურობა „ყველა კონტინენტზე“

ფეხბურთის ისტორიაში არნახული გასტროლები დაგეგმა ავსტრალიის ნაკრებმა. იგი ეწვევა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, იტალიას, საბერძნეთს, ირანს, ისრაელსა და ჰონკონგს. შემდეგ ავსტრალიელები ამერიკის კონტინენტს ესტუმრებიან — ითამაშებენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მექსიკაში. დაგეგმილია რამდენიმე მატჩის ჩატარება ახალ ზელანდიასა და ტაიტის კუნძულებზეც.

• •

### დამარცხების მიუხედავად

მექსიკაში განცდილი სასტიკი დამარცხის მიუხედავად, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები თავიანთ ქვეყანაში მეტად პოპულარულნი არიან. როცა 13-14 წლის მოსწავლეებს შორის ჩაატარეს გამოკითხვა — „ვინ გიყვართ ყველაზე მეტად?“, პირველ ოცეულში მოსწავლეებმა დაასახელეს 11 (!) ფეხბურთელი.

ანკეტა დაახლოებით ასეთნაირად გამოიყურება: 1. დედა, 2. მამა, 3. დედოფალი, 4. ბობი მური, 5. ბობი ჩარლტონი...

### ეს თავაწყვეტილი ფანატიკოსები

არგენტინელი გულშემატკივრები საოცარი ფანატიზმით გამოირჩევიან. მათ პირდაპირ დაშინებული ჰყავთ ფეხბურთელები და მწვრთნელები: თუ არასაკმარისი გულმოდგინება შეატყვეს, არა მარტო სახლებში ეჭრებიან, არამედ სცემენ კიდეც.

ამას წინათ ქ. მიგუელ დე ტუკუმანში ფანატიკოსმა გულშემატკივრებმა (მათ შორის ერთი ფილოსოფიის პროფესორი ერია!) სასტიკად სცემეს რადიოკომენტატორს, რომელიც, მათი აზრით, რეპორტაჟის დროს აშკარად არაობიექტური იყო.



ახლახანს მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მოჭადრაკე ქალთა შორის. თასის პირველი მფლობელი გახდა მოსკოველი ტ. ლემაჩკო, რომელმაც ფინალში მოუგო ესტონელ მ. რანიკუს ანგარიშით 3:1. III ადგილისათვის ბრძოლაში ნ. გორდონმა დაამარცხა ნ. მედიანიკოვა ანგარიშით 2,5:1,5.

ს უ რ ა თ ზ ე: ლემაჩკო და რანიკუ თამაშის დროს.

ა. იაკოვლევის ფოტო. (საკდესი)

# ასეთია ფეხბურთი

სტუდენტი ვარ. სხვებთან ერთად მეც ვესწრები ლექციებს და სემინარებს. მაგრამ ფეხბურთის საინტერესო მატჩის დაწყება რომ მოახლოვდება, წონასწორობიდან გამოვდივარ. ამ დროს აუდიტორია მიტოვებულ საკანს წააგავს, ლექტორი — უჯარო სარდალს, ინსტიტუტი კი სადღაც ცნობიერების მიღმა რჩება. ჩვენთვის მთელი სამყარო სტადიონის რუხი გალავნით არის შემოფარგლული და იმის იქით არაფერი არსებობს.

სტადიონზე გამუდმებით ისმის ჩვენი შეძახილები. თუ სასწაული მოხდება, ერთმანეთს ვკოცნით ათი წლის უნახავებივით, ხოლო თუ ღმერთი გაწყრება, ხელებს სახეზე ავიფარებთ და ისე ვდუმვართ, როგორც სემინარზე გაძახების მოლოდინში.

## ი უ მ ო რ ე ს კ ა

ჩემი მეგობარი გოგია სირბილაძე ყოველდღე დადის სტადიონზე. მან ზეპირად იცის ყველაფერი, რაც კი ფეხბურთს ეხება. ყოველი თამაშის წინ საოპერაციო კაცივითაა აფორიაქებული და მის სტიპენდიასაც ბოლო ეღება. მერე გიყვარდეს, დარბის განცხადებებით ხელში, ხან დეკანატში, ხან სამდივნოში. მაგრამ მას ჩვენ უფრო ვაფასებთ, ვიდრე ფრიადოსან არჩილს, რომელსაც ბურთი საზამთრო ჰგონია და თბილისის „დინამო“ მებოსტნეობის ბრიგადა.

დღეს ჩვენ აუდიტორიის ნაცვლად სტადიონზე ვართ და ლექტორის მაგიერ თამაშს ვუყურებთ. ვიცით, რომ ეს ორი თვის სტიპენდიად დაგვიჯდება, მაგრამ ჯანდაბას სტიპენდია, ოღონდ ჩვენებმა გაიმარჯვონ.

სტადიონი საუკეთესო საშუალებაა ადამიანის ტემპერამენტის გამოსარკვევად. აქ შეიძლება შეხვდე დიდი ხნის უნახავ ნაცნობს ან ნათესავს, გულიანად შეიგინო, შეიძინო ან დაკარგო მეგობარი, გამოხვიდე მოთმინებიდან, ჩააკნატუნო ერთი ჭიქა მზესუმზირა, გამოიჩინო ორატორობის ნიჭი.

სტადიონზე ყველაზე ძლიერი პიროვნება მსაჯია, რადგანაც მასზე ბევრადაა დამოკიდებული გამარჯვება — „თამაშგარედან“ გატანილი ბურთის ჩათვლა, პენალტის დანიშვნა და მოთამაშის გაძევება. ეს რომ ასეა, ჩვენში პატარა ბავშვმაც კი იცის და ამიტომაც არავის ჰყავს იმდენი ნათლია, რამდენიც სასტვენით შეიარაღებულ ამ გულცივ პიროვნებას.

გოგია არჩილის გვერდით ზის და ამით კარგ სასჯელსაც იხდის, რადგან ეს უკანასკნელი პირველადაა სტადიონზე.

სტადიონი ბობოქარ ზღვას ემსგავსება, რომელსაც ქარტეხილივით გადაუვლის ხოლმე შეშფოთების, სიხარულისა და აღშფოთების ტალღები.

— ის შავებიანი კაცი რატომ არ ეკარება ბურთს, თუ იცით? — კითხულობს არჩილი და ჩვენ სირცხვილისაგან აღარ ვიცით, სად წავიდეთ.

— სუდია სპოლიაა! — უფსკრულში გადავარდნილივით იბღავლა ვიღაცამ ამ დროს და მდგომარეობიდან გამოგვიყვანა.

მსაჯმა თითქოს გაიგონა ეს და საჯარიმოზე მიუთითა.

— გააგდეთ ეს სადისტი!

— პირდაპირ ციხეში გაგზავნეთ! — ისმოდა პროტესტები უხეში მოთამაშის მიმართ.

მსაჯი კი უკან სწევდა ბურთს და მაყურებელს ამით კიდევ უფრო აგიჟებდა.

საჯარიმოს შემსრულებელი მოედნის ცენტრამდე იხევს, მერე რაკეტული სისწრაფით უახლოვდება ბურთს და კუთხური დარტყმის ალამს ახვედრებს.

— სირცხვილი არაა, შენ ცენტრში თამაშობდე და მე აქ ვეგდო?! — სინანულით წამოიძახა ბოხოხიანმა ახალგაზრდამ, რომელსაც ცხვირი მაუზერის კონდახს მიუგავდა.

... გარღვევას გარღვევა მოსდევდა, დარტყმას — დარტყმა, მაგრამ გოლი, ის, რის გულისთვისაც იკლავდა თავს ამდენი ხალხი, არ ჩანდა.

ბურთი გაბუტულივით უვლიდა გვერდს მოწინააღმდეგის კარს, ან მეკარეს ეხუტებოდა გულში.

იყო ისეთი მომენტებიც, როცა კარის წინ ჩაჭრილ ბურთს ფეხის გაკვრის მეტი არაფერი უნდოდა, მაგრამ ჩვენებს სწორედ მაშინ ემართებოდათ განგრენა.

ბოლოს ჩვენს ტანჯვასაც მოეღო ბოლო. მარჯვენა გარემარბი ხვლიკივით გაუძვრა მცველებს და ... გოლი!

სიხარულით თავზარდაცემულმა ხალხმა იღრიალა და მეც დავყრუვდი. ყველა წუთიერმა სიგიჟემ შეიპყრო და ზეზე წამოყარა. სათვალიანი ისე მეხვეოდა, თითქოს ის ბურთი ჩემი გატანილი ყოფილიყო. ვიღაცა რაღაცას მეკითხებოდა, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. გოგიას შაშვივით დაეღო პირი და ყურებზე ხელებმიფარებული გაჰკიოდა. ბოხოხიანს ვიღაც წამოექცია და კოცნით ახრჩობდა, ჩემს უკან კი ისე გამმით უსტვენდნენ, რომ თამაშის დამთავრებამდე მიწიოდა ყურები.

გოლის ავტორი უკვე გონს მოსულიყო და ისე იჯგიმებოდა, თითქოს რაიხსტაგი მისი აღებული ყოფილიყო.

ამ ბედნიერ წუთებში ჩვენგან ერთი კილომეტრის დაშორებით ნახევრად ცარიელ აუდიტორიაში, პროფესორის ლექცია მიმდინარეობს და პირველი მსოფლიო ომის მიზეზები ირკვევა. ჟურნალში ჩვენი გვარების გასწვრივ „არებია“ ჩამწკრივებული.

ა. თავაძე.



△ ნიუ-იორკი. აქ მოეწყო სპეციალისტთა გამოკითხვა სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელთა ვინაობის დასადგენად. ვაჟებში I-IV ადგილები ავსტრალიელებს — ნიუკომბს, როზუოლს, ლეივერს (შარშანდელი № 1 ჩოგბურთელი) და როჩს მიეკუთვნათ. ქალთა შორის I ადგილზეა კურტი (ავსტრალია), II — კინგი (აშშ).

△ ტოკიო. იაპონიის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს ჩემპიონები შ. იტო და ც. კოვადა, ევროპაში გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირების ჩასატარებლად. მათ პირველი მატჩი ინგლისში ექნებათ.

## კომისიამ გადაწყვიტა

ბრატისლავა, 12 ოქტომბერი. ცურვის ევროპული ლიგის კომისიამ დაამტკიცა 1971 წლის საერთაშორისო შეჯიბრებათა კალენდარი. განსაკუთრებით საინტერესო იქნება აგვისტოს თვეში ჩატარებული ასპარეზობები. 12-დან 15-მდე ბუდაპეშტში გაიმართება იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი ცურვასა და წყალში ხტომაში. ამავე ვადებში ჩატარდება კონტინენტის თასის გათამაშება წყალში ხტომაში. 28-29 აგვისტოს იასპარეზებენ ევროპის თასის გათამაშებაში მონაწილე მოცურავეები. ვაჟებს უმასპინძლებს სტოკჰოლმი, ქალებს — ბრატისლავა.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.